გარემოსდაცვითი
ინფორმაციისა და განათლების
ცენტრი

გარემოსდაცვითი დემოკრატია

ადამიანის უფლებები და ვალდებულებები

ორჰუსის კონვენცია

ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ.
გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით.

საქართველოს კონსტიტუცია
მუხლი 29. გარემოს დაცვის უფლება

გარემოს წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი გამოწვევების აღმოსაფხვრელად უმნიშვნელოვანესია გარემოსდაცვით უფლებებსა და მოვალეობებში გაცნობიერებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც აქტიურად ჩაერთვება გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ხელს შეუწყობს გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებას. სწორედ ამ მიზნით შემუშავდა ორჰუსის კონვენცია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს გარემოს დაცვას და ადამიანის გარემოსდაცვით უფლებებს და არეგულირებს მათთან დაკავშირებულ საკითხებს.

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“
(ორჰუსის კონვენცია)

ORჰUSის კონვენცია

სარჩევი

რა არის ორჰუსის კონვენცია? ---------- 1

ორჰუსის კონვენციის 3 ძირითადი პრინციპი ---------- 2

გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ---------- 3

საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში ---------- 6

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა ---------- 9

რა არის ORჰUSის კონვენცია?

ORჰUSის კონვენცია გარემოსდაცვით კონვენციებს შორის განსაკუთრებული ტიპის დოკუმენტია, რომელიც აყალიბებს ადამიანის გარემოსდაცვით უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას. კონვენციის მიზანია გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და ამ სფეროში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფართო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება.

1998 წლის 25 ივნისს, დანიის ქალაქ ORჰUSში, 39 ქვეყნის და ევროკავშირის მიერ ხელი მოეწერა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენციას „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ (ORჰUSის კონვენცია).

2000 წლის 11 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა კონვენციის რატიფიცირება, რომელიც ძალაში შევიდა მისი ამოქმედებისთანავე, 2001 წლის 30 ოქტომბერს.

ORჰUSის კონვენცია ეფუძნება 3 ძირითად პრინციპს:

- გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა
- საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში
- მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა

I პრინციპი: გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

საჯარო დაწესებულებები ვალდებულები არიან, უზრუნველყონ გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, როგორც მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემით, ასევე ინფორმაციის აქტიური გავრცელებით.

II პრინციპი: საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში

გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს საზოგადოების მონაწილეობა წარმოადგენს. სწორედ ამიტომ დადგენილია ის მინიმალური პროცედურული ვალდებულებები, რომელიც უნდა სრულდებოდეს საზოგადოების მონაწილეობის და ადამიანის გარემოსდაცვითი უფლებების უზრუნველყოფის მიზნით.

III პრინციპი: მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა

კონვენცია მხარე ქვეყნებს ავალდებულებს უზრუნველყონ გასაჩივრების შესაძლებლობა იმ შემთხვევებში, როდესაც ირღვევა გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის პრინციპები.

საქართველო, როგორც ORჰUSის კონვენციის მხარე სახელმწიფო, ვალდებულია, უზრუნველყოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, რაც ხელს შეუწყობს ინფორმაციის აქტიურად გავრცელებასა და დაინტერესებული მხარის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მის დროულად და ეფექტურად მიწოდებას; გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას; გამჭვირვალე სისტემის შექმნასა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას.

გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

I

რა არის გარემოსდაცვითი ინფორმაცია?

ნებისმიერი წერილობითი, აუდიოვიზუალური, ელექტრონული ან სხვა მატერიალური ფორმით არსებული ინფორმაცია, რომელიც შეეხება გარემოს კომპონენტებს, მასზე მოქმედ ფაქტორებს, ქმედებებს, ღონისძიებებს, შეთანხმებებს, პოლიტიკას, კანონმდებლობას, გეგმებს, პროგრამებს, ასევე გარემოს მდგომარეობის გავლენას ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე.

თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს, ინფორმირებული იყოს:

- გარემოს მდგომარეობის შესახებ
- გარკვეული გადაწყვეტილებების მიღების შესახებ, რომელმაც შესაძლოა, ზემოქმედება მოახდინოს მათზე და მათ ირგვლივ არსებულ გარემოზე
- გარემოს განსაკუთრებული მდგომარეობისა და უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებელი ქმედებების შესახებ

ორჰუსის კონვენციის თანახმად, ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება, მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ:

- გარემოსდაცვითი ინფორმაცია საჯაროა, გარდა გამონაკლისებისა
- ინფორმაცია გაიცემა განმცხადებლის მიერ ინტერესის დასაბუთების გარეშე
- ინფორმაცია უნდა გაიცეს დაუყოვნებლივ

ორჰუსის კონვენცია

საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირმა უნდა წარადგინოს წერილობითი განცხადება

ორჰუსის კონვენციის მიხედვით საჯარო დაწესებულება ვალდებულია, გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 30 დღისა. ეროვნული კანონმდებლობა ორჰუსის კონვენციასთან შედარებით მკაცრია და ის ინფორმაციაზე პასუხის ვადად 10 დღეს აწესებს. შესაბამისად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია იმოქმედოს კანონით დადგენილი ვადების დაცვით და ინფორმაცია გასცეს არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

> თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის საჭიროა კანონით განსაზღვრულ ვადაზე მეტი, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს

უარი გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემაზე

ორჰუსის კონვენცია ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც საჯარო დაწესებულებას უფლება აქვს, უარი თქვას მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე, კერძოდ:

- დაწესებულებას არ გააჩნია მოთხოვნილი ინფორმაცია
- მოთხოვნა შედგენილია ზედმეტად ზოგადი ფორმით
- მოთხოვნა ეხება მასალას, რომელიც მომზადების ეტაპზეა ან ხელისუფლების ორგანოებს შორის მიმოწერის სტადიაშია

ასევე, თუ განცხადება ნეგატიურ ზემოქმედებას მოახდენს:

- ხელისუფლების ორგანოების სამუშაო პროცედურების კონფიდენციალურობაზე, საერთაშორისო ურთიერთობებზე, ეროვნულ თავდაცვაზე ან სახელმწიფო უსაფრთხოებაზე
- სამართალწარმოებაზე
- სახელმწიფო, კომერციული ან პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე

- ინტელექტუალურ საკუთრებაზე
- პერსონალური მონაცემების ან/და არქივების ისეთი ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე, რომელიც ეხება ფიზიკურ პირს და ამ პირისაგან, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, არ არის თანხმობა ამ ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდების თაობაზე
- მესამე მხარის ინტერესებზე
- იმ გარემოს მდგომარეობაზე, რომელსაც ეს ინფორმაცია ეხება

უარი ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ. საჯარო დაწესებულება ვალდებულია, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში განმცხადებელს წერილობით განუმარტოს თავისი უფლებები და გასაჩივრების წესი.

გარემოსდაცვითი ინფორმაცია უფასოა, თუმცა საჯარო დაწესებულებას შეუძლია, დააწესოს გონივრული საფასური მოთხოვნილ ინფორმაციაზე, თუ ინფორმაციის გასაცემად საჭიროა ხარჯების გაღება (ასლის გადაღება, CD-ზე ჩაწერა და სხვა).

II

საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში

რას ნიშნავს მონაწილეობა და რა შემთხვევაშია იგი ეფექტიანი?

მონაწილეობა არის პროცესი, რომლის დროსაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა, ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და იყოს სამუშაო პროცესის აქტიური მონაწილე, რაც გულისხმობს:

- საჯარო განხილვებსა და საკონსულტაციო შეხვედრებში მონაწილეობას
- სათანადო ინფორმაციის მიღებას და შესაბამისად ინფორმირებული მოსაზრების ჩამოყალიბებას
- ინფორმაციაზე დაყრდნობით საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებას
- საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულად წარდგენას



ორჰუსის კონვენცია

გარემოს დაცვა ურთიერთთანამშრომლობის პროცესია, რომელიც მოითხოვს მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო პირების, ბიზნესსექტორის და ზოგადად, ყველა დაინტერესებული მხარის შეთანხმებულ მოქმედებას. შესაბამისად, გარემოსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების მონაწილეობას, რადგან ამ გზით მიღებული გადაწყვეტილებით ვიღებთ ყველასთვის სასურველ შედეგს. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობა შესაძლებელია საჯარო განხილვებისა და საკონსულტაციო შეხვედრების გზით. ასევე, არგუმენტირებული შენიშვნების წარდგენის საშუალებით.

საკითხის ფართოდ განხილვას და ყველა დაინტერესებული მხარის აქტიურ ჩართულობას უკეთეს და უფრო მდგრად გადაწყვეტილებამდე მივყავართ, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში აუმჯობესებს თითოეული ჩვენგანის ცხოვრების დონეს.

შეჯერებული გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანია, რომ:

- გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება ჰქონდეს ყველა დაინტერესებულ მხარეს
- საზოგადოების ჩართულობა უზრუნველყოფილი იყოს გადაწყვეტილების მიღების საწყის ეტაპზევე
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისათვის დადგინდეს გონივრული ვადები
- საზოგადოებას ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად მიეწოდოს ინფორმაცია

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზევე საზოგადოებას აქვს უფლება ჰქონდეს:

- გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ყველა სახის ინფორმაციაზე შეუზღუდავი წვდომა
- შენიშვნებისა და კომენტარების წარდგენის შესაძლებლობა

კონვენციის წევრი თითოეული სახელმწიფო ვალდებულია:

- უზრუნველყოს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჯეროვანი ყურადღება მიექცეს საზოგადოების მონაწილეობის შედეგებს
- დაუყოვნებლივ აცნობოს საზოგადოებას სახელმწიფო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ
- ნება დართოს საზოგადოებას, გაეცნოს გადაწყვეტილების ტექსტს იმ მიზეზებისა და შეხედულებების ჩათვლით, რომელსაც გადაწყვეტილება დაეყრდნო

ორჰუსის კონვენცია

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა

III

ორჰუსის კონვენციის მიხედვით, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს, კერძო პირის ან სახელმწიფო ორგანოს მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი გაასაჩივროს მიუხედავად იმისა, ამ კანონდარღვევამ უშუალოდ მომჩივანი დააზარალა თუ არა.

ორჰუსის კონვენცია ადგენს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლებას იმ შემთხვევაში, თუ დაირღვა:

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება

კერძოდ, როდესაც:

- დაინტერესებულ მხარეს უსაფუძვლოდ ეთქვა უარი ინფორმაციის მიწოდებაზე
- დაინტერესებულ მხარეს ნაწილობრივ ან მთლიანად არასწორი პასუხი გაეცა მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის შესახებ
- ინფორმაციის გაცემა არ მოხდა დროულად
- ინფორმაციის არქონის შემთხვევაში, არ მოხდა მიმართვა უფლებამოსილი ორგანოსთვის ან დაინტერესებული პირის ინფორმირება უფლებამოსილი ორგანოს თაობაზე
- ინფორმაციის გაცემისთვის დადგენილ ვადაზე მეტი დროის საჭიროების შემთხვევაში, არ მოხდა დაინტერესებული პირის ინფორმირება ვადის გადაცილებისა და აღნიშნული მიზეზის თაობაზე

- სახელმწიფო ორგანოების მიერ არ მოხდა კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვან გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით
- არ მოხდა საზოგადოების ჩართვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების საწყის ეტაპზევე
- დაინტერესებულ პირს არ მიეცა საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება საჯარო განხილვისას

ორჰუსის კონვენცია ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ეროვნულ დონეზე უზრუნველყონ აღნიშნული საკითხების გასაჩივრების შესაძლებლობა.

საზოგადოების თითოეული წევრის მოვალეობაა:

დაიცვას და გაუფრთხილდეს თავის გარემომცველ სამყაროს, რისთვისაც შესაბამისი ინფორმაციის ფლობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა აუცილებელია.

გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად თითოეული მოქალაქე ვალდებულია:

- დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები გარემოს დაცვის სფეროში
- გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს
- იზრუნოს გარემოს დაცვაზე
- მოსალოდნელი ან მომხდარი ბუნებრივი და ტექნოგენური ავარიისა და სხვა ეკოლოგიური კატასტროფის შესახებ ინფორმაციის მიღებისას დროულად აცნობოს სათანადო კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს ან განაცხადოს საჯაროდ

მოითხოვე ინფორმაცია!

მიიღე მონაწილეობა!

იყავი ინფორმირებული შენი გარემოსდაცვითი უფლებების შესახებ!

mepa.gov.ge

eiec.gov.ge

info@eiec.gov.ge

+995 32 2 11 20 23

თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. 6

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი